

საგაზეთო

საერთო უკრაინული

სამშაბათი 27 მარტი 2001 №53 (1326)

ფასი 50 თეთრი

CATASTROFAL!

ასეთი შეფასებით გამოიხატა
 რუმინელებმა ეროვნული გუნდი თბილისში
დიდი ნაბიჯი მსოფლიოსკენ
 ასე შეფასდა ქართველთა გამარჯვება რუმინელებთან



რუმინელები ფილიპო ინძაგის (მარჯვნივ) წველითა გოლმა წაახდინა

შაბათს იტალიასთან ბუქარესტში შე-
 რცხვენილ რუმინეთის ნაკრებს ლადისლაუ
 ბოლონიმ სულის მოთქმაც არ აცალა —
 თამაშის დასრულებისთანავე საქართვე-
 ლოში წამოიყვანა. იქაურებს კი გვარიანი
 საფიქრალი გაუჩინა.

კატასტროფა ასე შეაფასა რუმინულმა მე-
 დიამ საკუთარი ნაკრების სადღესო ვითარ-
 რება. ფილიპო ინძაგის ორმა უპასუხო გო-
 ლმა კი მთავარი მწვრთნელის, ზემოსხენე-
 ბული ლადისლაუ ბოლონის ბედიც სასწო-
 რზე შეაგდო. ლაფში ამოსვრილი სახელის
 აღდგენას რუმინელები და მათი დამრიგე-
 ბელი, ცხადია, ხვალ, საქართველოს ეროვ-
 ნული ნაკრების წინააღმდეგ მატჩში ეცდე-
 ბიან. კვირას თბილისის აეროპორტში ნირ-
 ნამხდარი რუმინელების დაბეგრული მზე-
 რა და აქა-იქ წამოსროლილი ორიოდ სი-
 ტყვაც ამას გვიდასტურებდა. ერთადერთი,
 ვისაც პირიდან ღიმილი არ მოშორებია, რა-
 თუნდაც საოცარიც უნდა იყოს, ლადისლაუ ბო-
 ლონი გახლდათ, არადა, რუმინელთა
 მწვრთნელს აქეთ რომ პრესა აკრიტიკებს,
 იქით ფეხბურთელებიც აჯანყებიან. კე-
 რძოდ, იტალიასთან მატჩის შემდეგ ის და
 „შტუტგარტის“ თავდამსხმელი იონელ გა-
 ნია ნაკიდებიან ერთმანეთს და ბოლონის
 მოჯანყისთვის ნაკრების კარიც მიუხურავს.

ერთი სიტყვით, საკმაოდ არეული რუმინე-
 თი გვესტუმრა, მაგრამ... რუმინეთს
 უკანდასახევი გზა აღარ აქვს. გუშინდელ
 პრესკონფერენციაზეც ლიად ითქვა — აუ-
 ცილებლად მოვიგებთო.

ახლა ჩვენი ნაკრებისაც ვთქვათ, დღეს
 გამთენიისას რომ ჩამოფრინდა თბილისს.
 საქართველომ ბედისგან თუ ლიტვასთან
 ფრედ ნათამაშევი უნგრეთისგან ბოძებუ-
 ლი შანსი არ უნდა გაუშვას ხელიდან, გუ-
 შინ გერმანიიდან გამომგზავრებისას ნაკ-
 რების ერთ-ერთმა მწვრთნელმა გვითხრა
 კიდევ — არც ვაპირებთო. შოდა, აგერ ბუ-
 რთი, აგერ, განათებულ-გამწვანებული
 „ეროვნული“ და აგერ რუმინეთიც.

საქართველო — რუმინეთის მატჩისწინა აშხები
 და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი
 მატჩების მიმოხილვა მეორეხარისხიანი გვერდებზე



თბილისშიც თუ წაგო, ლადისლაუ ბოლონის
 საქმე ცუდად წაუვა

გადამკვეთი კომპლექსი ფოტო

ბორის პაიჭაძის XX საუკუნე

გრანდიოზული სანახაობა, ხალხით გადაჭედული დარბა-
 ზი, მთავრობა, პრეზიდენტი...
 XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთა
 დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი...
 საუკეთესონი საუკეთესოთა შორის...
 ბევრი პრიზი და საჩუქარი...
 და უმთავრესი: მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთე-
 ლი — ბორის პაიჭაძე.
 გრცლად ხვალინდელ „სარბიელში“.



ნომინაცია „საუკუნის გოლი“ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ქვანია
 პრინს გადისცემს ვიტალი დარასელიას მემულის

გადამკვეთი კომპლექსი ფოტო



რუმინეთი 0:2 იტალია
04.02 ინსტი (28, 32)
რუმინეთი: სტელია, რადოი (სერბანი 7), ფი-
ლიპესკუ, პრილიპე, კონტრა, კოდრიბა, გალკა
(კ. მუნტიანუ 59), დ. მუნტიანუ, მოლდოვანი
(განია 78), ნიკულაე, ილიე
წვრიანელი, ლადისლაუ ბოლინი
იტალია: ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი,
ძამბროტა, ტომასი, ალბერტინი, პანკარო, ფიორე
(ტაკინარდი 82), ფ. ინსტი (მონტილა 83), დელ
პიერო
წვრიანელი: ვილანი ტრანტონი
გაფრთხილება: ძამბროტა, პანკარო, კოდრიბა
მაჯი: პერნარტ ფანდელი (კერმანია)
24 000 მაყურებელი

VIII ჯგუფი ჩვენი მეტოქეები VIII ჯგუფი
**იტალიამ რუმინეთი
ლაფში გასვარა**



ორი ათიანი მართეს ნიკულაე და ალესანდრო დელ პიერო

ცდილობდა: განაპირა მცველი თავის-
სავე ფრთაზე წინ არტყამდა, სადაც
თავდამსხმელი (მეტწილად ლარიუს
ნიკულაე) ლამობდა ბურთის მიღებას,
დამუშავებას და საჯარიმოში ჩაწოდებას.
თავდაცვის დროს კი ისე გვენიშნა,
თითქოს იტალიელებს ვეღვაზე მეტად
მასპინძელთა ნახევარდაცვის გადასვლა
უჭირდათ, თორემ მცველებამდე მისუ-
ლი უკვე ახერხებდნენ სასიფათო მო-
მენტების შექმნას. ვფიქრობთ, მოწინა-
აღმდეგეს ბურთის საჯარიმოში შო-
რიდან ჩაგდება რომ ეცადა, რუმინე-
თის დაცვა უფრო იოლად გაუწევდა
წინააღმდეგობას. მათზე წამოსული რა-
მდენიმე იტალიელის დაბლა გათამა-
შებულ კომბინაციას კი ვფიქრობთ გა-
უვალი კედელივით ვერ ხვდებოდნენ.
„გოლები მატჩის ლოგიკის საწინაა-
ღმდეგოდ გავიდა და ჩვენი ახალგა-
ზრდა მოთამაშეების სულიერი სიმტ-
კიცე გატეხა“ — განაცხადა შემდეგ
რუმინელმა თავდამსხმელმა ვიორელ

მოლდოვანმა — „მეორე რომ გავუ-
შეით, თამაშშიც დამთავრდა, რადგან იტა-
ლიის კარში სამის გატანა, ფაქტობ-
რივად, შეუძლებელია“.
სულ სხვა აზრი შეექმნა იტალიის
ნაკრების თავკაცს, ჯოვანი ტრაპატონი-
სს:
„იღეს ჩვენი დამმარცხებელი არა-
ვინ იყო, ხოლო შეტევაში ინსტი, რო-
გორც ფიქსირებული, საჭირო დროს, სა-
ჭირო ადგილზე ჩნდებოდა. ერთი სი-
ტყვიით, „სკუადრა აძურამ“ დაამტკიცა,
რომ იტალიური ფეხბურთი მხოლოდ
სერია A-ში მოთამაშე უცხოელებს არ
ნიშნავს“.
ამ ორი შეფასებიდან თავიდან ბო-
ლომდე რომელიმეს გაზიარება, ვფი-
ქრობთ, გარედან მაცქერალი კაცისთვის
სწორი არ უნდა იყოს. მოლდოვანი თა-
მამის ლოგიკაში ალბათ იმას გულის-
ხსნობდა, რომ მისი გუნდი, როგორც
მასპინძელი, შეტევას ცდილობდა, მა-
გრამ აქ ამ შეტევით ხარისხსაც ხომ
აქვს მნიშვნელობა? მის აზრს გაეზი-
არებდით, მასპინძლებს სტუმართა კა-
რთან მომენტები რომ შეექმნათ, გო-
ლები კი იქით გასულიყო, მაგრამ რე-
ალურად საქმე მხოლოდ სურვილთან
გვექონდა.
რაც შეეხება ღონ ტრაპის ნათქვამს,
მას ასეთ კომენტარს შევკადრებდით
— ის, რომ იტალიის დამმარცხებელი
დელამიწის ზურგზე არავინ იყო, ცო-
ტა საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან, ზოგა-
დად, „სკუადრა აძურას“ შედარებით
გაცილებით ფერ-ხორციანი თამაშებიც
უამრავად გვინახავს. თუმცა, რადგან
თვით ჯოვანი ტრაპატონი ბრძანებს...
„ჩვენ იტალიელთა სასიფათო კონტრ-
შეტევებმა დაგვამარცხა“ — უთქვამს
ლადისლაუ ბოლინის — „ახლა საქარ-
თველოსთან მოგებაა გადამწყვეტი და შე-
დეგ, მეორე ადგილისთვის ვიბრძობთ“.
და, ვინაიდან, ბატონი ბოლინი თავისი
გუნდის უმთავრეს კონკურენტად უნგრეთს
მიიჩნევს, ხოლო უნგრეთი 6 ოქტომბერს
იტალიაში თამაშობს, მან დასძინა:
„იმედი მაქვს, ამიერიდან იტალიე-
ლები ჩვენ დაგვეხმარებიან“.
და ვინ დაეხმარება საქართველოს?
ჩვენი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ
საქართველო, მეტი არავინ!

შედეგები

10 მუნჯი (70), 4 რაფინუსკისი (74)
შედეგები: კორალი, კორსო, მუნჯი, თუბარი, მ. ფიფერი, მიროტა, დარდაი, ილიე, მამარი (გერუნი 46), პორტატი, მ. ფიფერი (დომნი 64)
წვრიანელი: ბერტალანი ბიჭი
შედეგები: სტაუფე, შარბალუსი, დედურა (ფაიუ- კტასი 36), გლევეცკისი, ფორტუნიუსკისი, რა- ფინუსკისი (ოკუბისი 89), რ. ფუტაბუსი, პო- კუსი, მორინასი, შემერასი, მიკალაიუნასი
წვრიანელი: ბენიამინასი ზელკაიფიუსი
მაჯი: ვასილ მდინიჩი (უკრაინა) 20 000 მაყურებელი

იტალია	4	3	1	0	9:2	10
უნგრეთი	3	1	2	0	9:4	5
საქართველო	2	1	0	1	4:2	3
რუმინეთი	3	1	0	2	1:5	3
ლიტვა	4	0	1	3	2:12	1

**გასწოვი, როგორ მოუვო შემო-
დგომაზე უნგრეთმა ლიტვას ლიტვაში?**
ცხადია, გასწოვით — 6:1. სწორედ ამი-
ტომ, მათი, ასე ვთქვათ, საპასუხო შე-
ხვედრის ანგარიშის პირველად შეტ-
ყობისას კაცს გაოცების შეძახილი აღ-
მოხდება.
მაგრამ, ფაქტი ფაქტია: განახლებუ-
ლმა ლიტვამ ბუდაპეშტში 1:1 ითამაშა.
პირველ ტაიმში, სრიალა მინდორზე,
ბევრი არაფერი შექმნილა. იყო ერთი
ეპიზოდი, როდესაც 44-ე წუთზე ლი-
ტველთა მეკარემ, გუნტარას სტაუფემ
უნგრულ ნახევარმცველ ვასილ მირიუ-
ტას 25 მეტრიდან ჩახვეული საჯარი-
მო დარტყმა აუღო — შეგვიძლია ჩავე-
ნიშნოთ, რომ საქართველოს მომავალ
მეტოქეს, უნგრეთს, ჯარიმების შორიდან
ზუსტად დამრტყმელი კაცი ჰყოლიათ.
გოლები შესვენების შემდეგ გავიდა.
თავიდან მასპინძლებმა შეადგეს: 70-ე
წუთზე გამთამაშებელი ილიე ლიტ-
ველებმა თავიანთ საჯარიმოში წააქ-
ციეს, რისთვისაც დაინიშნა პენალტი,
რომელიც მცველმა ვილმომ შეტოპმა
გაიტანა.
საპასუხო გოლს დიდი ხნის ლოდინი
არ დასჭირვებია — ოთხი წუთის
შემდეგ ტომას რაფინუსკისმა საჯარ-
იმო მიზანში ჩაახვიდა.
ჩვენ ახალი გუნდის შექმნას ვედი-
ლობთ. ვგონებ უნგრელებს სიურპრიზი
შეუთავაზეთ. ისინი საკუთარ თავში შე-
დმეტად დარწმუნებულნი ჩანდნენ. აბა,
ვინ წარმოიდგენდა, რომ ლიტვა ბუდაპე-
შტში ქულას მოიპოვებდა. დღეს, ნამდ-
ვილად საზიემოდ გვაქვს საქმე — გა-
ნაცხადა მატჩის შემდეგ ლიტველთა მწ-
ვრთველმა ბენიამინას ზელკაიფიუსმა.
ზელკაიფიუსის უნგრელი კოლეგა,
ბერტალანი ბიჭი კი, ცხადია, უკმაყოფი-
ლო გახლდათ:
„ძალიან უიღბლო მატჩი გამოვიდა.
უნდა მოვკვებო, ერთი გოლით მაინც.
იტალიამ ბუქარესტში აიღო სამი ქულა,
რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფში პირ-
ველ ადგილზე გასვლა თითქმის გა-
მოირიცხა“.




იონ ფილიპესკუ და სტეფანო ფიორე



დამიანო ტომასი

ზვილავო, თქვენ განაცხადით ჩემი ჯილდო-მედალები

ევროპელთათვის აუქციონი, რომელზეც ცნობილი ხალხის პირადი ნივთები ჩაქუჩის ორი-სამი დაკაკუნების შემდეგ იყიდება, არცთუ უცხო ხილია. მსახიობები, პოლიტიკური მოღვაწენი, სამეფო დინასტიათა წარმომადგენლები და საზოგადოების მრავალი კერპი სხვადასხვა მიზეზის გამო რელიქვიად ქცეულ ნივთებს მამასისხლად ჰყიდიან. გასაკვირი არაა, რომ მათთვის ბურთის დიდოსტატებსაც აუბამთ მხარი.



გორდონ ბენჯონი თავს იღობებს და შეილებს ამიდრებს

რამდენიმე მაგალითი, რომელთაც ქვემოთ მოვიტანთ, როგორც მატერიალური, ასევე ტიტულების თვალსაზრისით, საკმაოდ დიდ სურათს გვიჩვენებს: აწ განსვენებულმა ბობი მურმა, ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს აუქციონზე უპირეს გაყიდვას. თავად მეკარე აუქციონიდან შემოსულ ფულს შეილებს — რობერტს, უენდის და ჯულიას გაუნაწილებს. რა ქნას კაცმა, ახალი დროება, ახლებური გემოვნებით და სურვილებით, არ ჰგავს მისი ჯეელობის ფაშს. ეტყობა, შეილებსაც საკმაოდ ახლებური და დიდი მადა აქვთ. ექსპერტების აზრით, ბენჯონის მსოფლიოს ჩემპიონის ვაილი 70 000-90 000 გირვანქად უნდა გასაზღვდეს. გარდა ოქროს

ქციონისთვის გაიშვა. ამას წინათ გაუწყვდით, რომ ფრანგი რაიმონ კოპა საკუთარ ავლაიდებს, რომელთა შორის ჩემპიონთა თასის გამარჯვებულის კუთვნილი სამი ვაილია, მაგან მილიონერთა საკბილოდ ხდის. რა თქმა უნდა, დასანანია, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს. ამ შემთხვევაში მეორე მხარე დიდძალი ფულია. ისევ მაგალითისთვის: წითელი მარსურა, რომელიც ინგლისელ თავდამსხმელ ჯეფრი პერსტს 1966 წლის ფინალში ეჭოსა, საარაკო თანხად — 91 750 გირვანქად გაიყიდა. ზუმრობა საქმე არაა ამხელა თანხა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში ერთადერთი 3-ე თრიქის ავტორობაც დიდად საძნელო და საპატიო საქმეა. კაცი ვინც ეს მოახერხა, სწორედ პერსტი გახლავთ.

არც ერთ ზემონაპოვებულზე ნაკლებპაპულარული არაა ინგლისელთა ლეგენდარული ნაკრების ლეგენდარული მეკარე გორდონ ბენჯონი და, სავარაუდოდ, მისი პირადი ნივთებიც სარფიანად უნდა გაიყიდოს. საკვირველია, რა გაუჭირდა ბენჯონს, მაგრამ იგი, ბობი მურის დარად, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს აუქციონზე უპირეს გაყიდვას. თავად მეკარე აუქციონიდან შემოსულ ფულს შეილებს — რობერტს, უენდის და ჯულიას გაუნაწილებს. რა ქნას კაცმა, ახალი დროება, ახლებური გემოვნებით და სურვილებით, არ ჰგავს მისი ჯეელობის ფაშს. ეტყობა, შეილებსაც საკმაოდ ახლებური და დიდი მადა აქვთ. ექსპერტების აზრით, ბენჯონის მსოფლიოს ჩემპიონის ვაილი 70 000-90 000 გირვანქად უნდა გასაზღვდეს. გარდა ოქროს

მედალსა, ინგლისელთა ვაილებს, ბენჯონის დარად 1966 წლის ფინალში მეტოქე-კოლეგა პანს ტილკოვისგან მატჩის შემდეგ მიღებული მარსურის გაყიდვითაც აპირებს შემკვიდრეთა საღაროს გამდიდრებას. ბენჯონის დახლს დაამშვენებს კიდევ ორი კეპი, რომლებითაც 1966 და 1970 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში ითამაშა. მთლიანობაში, ბენჯონები, საქმეში ჩახედულთა აზრით, 100 000 გირვანქით უნდა გამდიდრდნენ.

შკითხველს კი შეეახსენებთ, რომ გორდონ ბენჯონი წლების განმავლობაში „ჩესტერფილდის“, „ლესტერის“, „სტოკ სიტის“ ღირსებას იცავდა და ინგლისის ჩემპიონობა და ლიგის თასი მრავალჯერ მოუგია. 1972 წელს იგი ინგლისში წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახლდა. ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივარს, ალბათ, პელოს ის აულებელი თავურიც ემანსოვრება, რომლიც მეკარემ მოიგვრია. ეს 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა და ფეხბურთის ისტორიას „საუკუნის გადარჩენის“ სახელით შერჩა.

გორდონ ბენჯონს ინგლისის უროვნულ ნაკრებში 73 მატჩი აქვს ჩატარებული აქედან 35-ში საკუთარი კარის მშრალად შენახვა შეძლო. დიდი მეკარე ფეხბურთის უბედურმა შემთხვევამ ჩამოაშორა ჯერ კიდევ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფი ავტოავარიაში მოყვება, ამის შემდეგ მსჯელობის პრობლემები შეექმნა და თულებული გახდა, ბრწყინვალე კარიერა დაესრულებინა.

და კიდევ ერთი: ბენჯონის ავლაიდების შექმნის მსურველებმა კრისტის აუქციონს უნდა მიაშურონ.

გიორგი მამარაშვილი

რესტორანი მზიანი ღამე




განსაკლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუბუჭოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვინდათ: კმაყოფილი დარჩებით

